

კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების პრობლემები და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა

ანა ბუიანოვა

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

დღევანდელ მსოფლიოში, სახელმწიფოების განვითარებაში უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება ტექნოლოგიების დანერგვა და მათი სწორად გამოყენება. ამასთან დაკავშირებით, ბევრი ქვეყნის მმართველობა დაადგა იმ გზას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ წინსვლას. ამის განუყოფელი ნაწილი კი არის კომპიუტერული პროგრამების ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

თემის მიზანი და ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავარკვიოთ რა კეთდება საქართველოში ამ მიმართულებით, ხდება თუ არა ლიცენზირებული პროგრამების გამოყენება როგორც ორგანიზაციების, ასევე ფიზიკური პირების მიერ და სად იწყება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ამ კუთხით.

ნაშრომისთვის გაკეთებული გამოკითხვის მიზანია გარკვევა, თუ რამდენად მოიხმარენ ფიზიკური პირები და ორგანიზაციები (სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო, საერთაშორისო და სხვა) ლიცენზირებულ კომპიუტერულ პროგრამებს და საზოგადოების აზრი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მიმართ.

თემაზე მუშაობისას გამოყენებულია BSA (Business Software Alliance)-ის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელშიც ჩართული იყო 70 ქვეყანაზე მეტი. აგრეთვე, ნაშრომი მიმოიხილავს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, მათ შორის რესპოდენტებისგან მიღებული ინფორმაციას პირადი ინტერვიუს დროს.

თემაში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მაიკროსოფტის კორპორაციის ოფიციალურ წამომადგენლობაზე საქართველოში იქიდან გამომდინარე, რომ ეს არის კომპიუტერული პროგრამების მწარმოებელი ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი კომპანია და წარმომადგენლობა ქვეყანაში.

ნაშრომში გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომლებზეც აუცილებლად უნდა გაამახვილოს სახელმწიფომ ყურადღება, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი გართულებები.

Abstract

In today's world, countries are becoming more and more interested in developing new technologies and correctly implementing them, in order to enhance the development process. In this regard, many country's government embarked on a path that will contribute to their advancement. The crucial part of this process is intellectual property protection of computer programs.

The aim and task of this research paper lies in the aftermath of what is being done in Georgia in terms of the exploration of the licensed programs used by both organizations and individuals, and where starts state's responsibility in this regard.

The aim of the survey conducted for this research papers is to find out how often do individuals and organizations (governmental, non-governmental, private, international and etc.) use copyrighted computer software, and the state's responsibility towards society.

For the research purposes I used BSA (Business Software Alliance) research involving more than 70 countries. In addition, the paper highlights the various sources of information, including the information from personal interviews with respondents. The main focus is on official representation of Microsoft Corporation, because of the fact that it is a largest computer software manufacturer company represented in Georgia.

The paper highlighted a number of issues that the government must pay attention to in order to avoid possible complications in the future.